KA020103498456914

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი

ბრძანება

№ 1-1/12 **09 / იანვარი / 2014 წ.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს ეკონომიკისა დამდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი“.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

დანართი

საქართველოს ეკონომიკისა და მგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

საქართველოსეკონომიკისადამდგრადიგანვითარებისსამინისტროსსისტემაშიშემავალისაჯარ ოსამართლისიურიდიულიპირის –საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (შემდგომში-ადმინისტრაცია) საჯარო ინფორმაციისელექტრონულიფორმითმოთხოვნისსტანდარტიგანსაზღვრავს ადმინისტრაციაში საჯარო ინფორმაციის ელექტრონულიფორმით მოთხოვნისადაგაცემისწესს.

მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

1.საჯარო ინფორმაცია ელექტრონული ფორმით შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმადა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში მიიღოს მოთხოვნილი ინფორმაცია.

2. ელექტრონული ფორმით მოთხოვნასაჯარო ინფორმაციის გაცემაზე უნდა გაიგზავნოს სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან ელექტრონულ მისამართზე publicinfo@gnta.ge

3. ელექტრონული ფორმით წარდგენილი მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უნდა შეიცავდეს:

ა) ინფორმაციის მომთხოვნი ფიზიკური პირის სახელს, გვარს, პირადნომერს, ტელეფონის ნომერს;

ბ) ინფორმაციის მომთხოვნი იურიდიული პირის დასახელებას, საიდენტიფიკაციო ნომერს, იურიდიულ მისამართს, ტელეფონის ნომერს, ხელმძღვანელი პირის სახელს, გვარს;

გ) მითითებას საჯარო ინფორმაციის მიღების სასურველი ფორმის შესახებ - ელექტრონული ფოსტის საშუალებით, კომპაქტურ დისკზე ჩაწერილი, მატერიალური სახით თუ დედანში გაცნობის გზით.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესების დარღვევით წარდგენილი მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ადმინისტრაციის მიერ არ განიხილება.

მუხლი 3. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემა

1.ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გადის რეგისტრაციას ადმინისტრაციაში დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (დეს) და მომთხოვნს ეგზავნება რეგისტრაციის დადასტურება ელექტრონული მისამართის (publicinfo@gnta.ge)მეშვეობით.

2. „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადების ათვლა დაიწყება მოთხოვნის

ელექტრონული ფორმით მიღებიდან (მოთხოვნის რეგისტრაციის დადასტურებიდან, სარეგისტრაციო ნომრის მითითებით) მეორე სამუშაო დღეს.

3.თუმოთხოვნილია ინფორმაციის მიღება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და მისი მოცულობიდანგამომდინარე, შეუძლებელიაგაგზავნილი იქნეს იგი ელექტრონულად, ადმინისტრაცია
ვალდებულიააღნიშნულისშესახებაცნობოსმომთხოვნსდაიტოვებსუფლებასმომთხოვნისთანხმობისშ
ემთხვევაშიგანახორციელოსმისიგაცემა დოკუმენტის ასლის სახით „საჯარო ინფორმაციისასლისგადაღებისმოსაკრებლისშესახებ“
საქართველოსკანონისმოთხოვნათაშესაბამისად.